პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 64 (6129)

1978 წ. 1 აპრილი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

•

## საერთო მოწონება, ერთსულოვანი მხარდაჭერა

ამ დღეებში რესპუბლიკის მშრომელები გულისყურით სწავლობენ, საქმიანად განიხილავენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს.

დაწესებულებებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ხალხმრავალი კრებები, რომლის მონაწილენი მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს კონსტიტუციის პროექტს და აღუთქვამენ პარტიას, რომ ახალი ენერგიით, თავდაუზოგავად იშრომებენ 1978 წლის გეგმებისა და მაღალი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისთვის.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განხილვას ეძღვნება კრებები, რომლებიც ტარდება რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში, სპორტსაზოგადოებებში, სპორტული დაოსტატების სკოლებში. „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნის" ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში გამართულ კრებებზე საქმიანად იქნა განხილული საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი. ფიზკულტურულმა მუშაკებმა, სპორტსმენებმა გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ახალ სტიმულს მისცემს და დაეხმარება მათ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კიდევ უფრო განვითარების, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადების საქმეში.

კრებებზე გამოსული სპორტსმენები, ფიზკულტურული მუშაკები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, მისი ყველა მუხლი, ყველა თავი სრულად შეესაბამება რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესებს, მისწრაფებებსა და იმედებს. ორატორები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციის პროექტში დიდი ადგილი ეთმობა მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საკითხებს, რომ ფიზკულტურა და სპორტი სახელმწიფოს ზრუნვის საგანია და მან კანონის ძალა ჰპოვა. აქედან გამომდინარე, — აღნიშნავდნენ ორატორები — იზრდება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა, ყველა სპორტსმენის პასუხისმგებლობა, რადგან კონსტიტუციის პროექტი არა მარტო დიად უფლებებს ითვალისწინებს, არამედ განსაზღვრავს მოქალაქეთა მოვალეობებს სახელმწიფოსა და ხალხის, დაკისრებული საქმის წინაშე. კრებებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი უდიდესი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც ყველგან მაღალი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

— მხურვალედ ვიწონებთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს და ერთსულოვნად ვუჭერთ მას მხარს! — ასეთია კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საერთო აზრი.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი



# მთავარი მოქმედი პირნი და შემსრულებელნი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი.

„დინამო" (მოსკოვი) — „აუსტრია" (ვენა) 2:1 (0:1).

„დინამო": გონტარი, [illegible]ოვი, კაზაჩონოკი, მახოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი (ნოვიკოვი), გერშკოვიჩი, დოლმატოვი, იაკუბიკი (წერეთელი), მაქსიმენკოვი, მინაევი.

„აუსტრია": ბაუმგარტნერი, რ. ზარა, ობერმაიერი, ბაუმაისტერი, დაქსბერგერი, მარტინეცი, პარიცი, პროჰაზკა, პირკნერი, გასელიხი, მორალესი.

მსაჯი: დ. ბაბაკანი (თურქეთი).

გოლები: ბაუმაისტერი (26), წერეთელი (84), გერშკოვიჩი (85).

გაფრთხილებულნი არიან მარტინეცი და მორალესი.

მოხდა ისე, რომ ამ მატჩის წინ მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს „აუსტრიის" ძალაზე ბევრი ვერაფერი წარმოდგენა ჰქონდათ. ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშევი უკანასკნელი მატჩების ვიდეოჩანაწერი ფაქტიურად „ყალბი" გამოდგა — „აუსტრიამ" დამალა თავისი ნამდვილი სახე და ეს სავსებით აშკარა გახდა თამაშის პირველ ნახევარშივე. დროის იმ მონაკვეთში, მანამდე, სანამ ავსტრიელთა მარცხენა მცველი გუნდისთვის ესოდენ ძვირადღირებულ გოლს გაიტანდა გონტარის კარში, მოსკოველები ვალდებულნი იყვნენ მიმხვდარიყვნენ, რომ მეტოქის დინჯი, გამოზომილი მოქმედება საკუთარი ძალების რწმენასა და ანგარიშგასაწევ საფეხბურთო პოტენციას მოასწავებდა.

მატჩის შემდეგ დინამოელებს არასაკმარის სისწრაფეზე უსაყვედურებენ და, რა თქმა უნდა, თამაშის პირველი ნახევარი ექნებათ მხედველობაში. თუმცაღა არც ბაუმაისტერის გოლი, არც ავსტრიელთა ხელუხლებელი კარი მოსკოველთა „მდორე" შეტევების მიზეზი არ ყოფილა. „დინამო" საკმაოდ სწრაფად და, უნდა ითქვას, რომ ზედმეტად აზარტულადაც კი თამაშობდა.

თუმცა მოვყვეთ თავიდან.

მატჩის პირველი წუთები. „დინამო" თავდამსხმელთა დუეტს (გერშკოვიჩი-კაზაჩონოკი) რამდენიმე ნახევარმცველიც მიუჩინა შემწედ. პირველყოვლისა მაქსიმენკოვი და მინაევი. კაზაჩონოკი და გერშკოვიჩი ხშირად ცვლიან ადგილებს, თუმცა ეს ადგილმონაცვლეობა უფრო სქემატურია, ვიდრე უშუალოდ თამაშის ლოგიკიდან გამომდინარე. ორივე ფეხბურთელი ძალზე ხშირად, თითქმის ერთდროულად ხვდება საჯარიმოს ცენტრალურ ზოლში, იქ, სადაც მოსკოველთა ნახევამცველებიც უშედეგოდ ეძებენ „გასაძრომს". შედეგად შეტევის ფრონტი დავიწროვდა და ისედაც საიმედო მოთამაშე ობერმაიერსა და დაქსბერგერს საქმე გაუიოლდათ. საფიქრებელია, რომ ასეთ ვითარებაში მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა მინაევს და სწორედ ფლანგზე.

დინამოელთა ტერიტორიული უპირატესობა პირველ რიგში ამან გააქარწყლა.

რა თქმა უნდა, სხვა ნაკლის მინიშნებაც შეიძლება, მაგრამ ის უფრო ზოგადია და ერთგვარად მთლიანად ჩვენს ფეხბურთსაც ახასიათებს. საუბარია სწორხაზოვან მოქმედებაზე, საუბარია, მარტივად რომ ვთქვათ, გოლის გატანის (საგოლე სიტუაციებში) უცოდინრობაზე.

თუმცა ყველაფერ ამის მიუხედავად მოსკოველებს მაინც შეეძლოთ თავი დაეღწიათ იმ ერთადერთი გოლისაგან, საპასუხო მატჩში მძიმე ტვირთად რომ გაჰყვება გუნდს. მინაევის გასაკეთებელი საქმე (ფლანგზე აქტიური თამაში) პაროვმა იკისრა და გაუფრთხილებლობისა თუ მეტისმეტი აზარტის გამო დაისაჯა კიდეც: 26-ე წუთზე „დინამოს" დაცვის მარჯვენა ფრთა მოუმზადებელი შეხვდა ავსტრიელთა მახვილგონივრულ იერიშს.

მეორე ტაიმის პირველი ოცი წუთი. ერთი შეხედვით „დინამო" მართლაც უმატა ტემპს. ფაქტიურად კი ამ ათ-თხუთმეტწუთიან შტურმს ძალზე ცოტა ეცხო საფეხბურთო სისწრაფისა და წმინდა ფიზიკური ძალის პოზიციებიდან საუბარს უფრო წააგავდა. ამაში კი მოსკოვის „დინამოს" ვერც ისე იოლად მოუძებნი ბადალს. — ამ კოლექტივის ბრძოლისუნარიანობა ბარე ორს ეყოფა. მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე — მეორე ტაიმის მეოცე წუთზე დაილია ამგვარი იერიშებისთვის აუცილებელი ძალის მარაგი. მართალია, „აუსტრია", ცოტა არ იყოს, გაბრუა, მაგრამ მაინც ვერ გატეხა ხანგრძლივმა შტურმმა. ამ წუთებიდან მინდორზე ისევ დამყარდა წონასწორობა და ეს ყველამ კარგად იგრძნო — ტრიბუნამაც, ფეხბურთელებმაც და დინამოელთა მწვრთნელმა სევიდოვმაც და თუ პირველ ტაიმში მეტწილად „დინამო" სცოდავდა, ახლა „აუსტრიას" ჯერიც დადგა. მოსკოველთა ორი ნახევარმცველის შეცვლას ავსტრიელებმა არაფრით უპასუხეს, რადგან საქმე მოთავებულად ჩათვალეს. ახლა რომ ვთქვათ, „დინამოელებს ისღა დარჩენოდათ, ორი გოლი გაეტანათო" მართალი არ იქნებოდა. წერეთელის ლამაზმა გოლმა უთუოდ თავისი ქნა — გუნდს შეახსენა, რომ ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული. წუთის შემდეგ გერშკოვიჩის გატანილმა ბურთმა „დინამოს" გამარჯვება მოუტანა.

ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ამ თამაშში მაინც თბილისელი მაყურებელი გახლდათ, დინამოელებს ალბათ კარგახანს ეხსომებათ ის მხარდაჭერა და ნამდვილი გულშემატკივრობა, რაც სტადიონის [illegible] ტრიბუნებმა გამოიჩინეს. თამაშის დამთავრების შემდეგ მოსკოველთა მწვრთნელმაცა და გუნდის ცალკეულმა მოთამაშეებმაც დიდი მადლიერებით აღნიშნეს ეს ამბავი, მიხეილ გერშკოვიჩმა კი დასძინა — ასე ალბათ მოსკოველი მაყურებლებიც ვერ „დაგვეხმარებოდნენ" გამარჯვების მოპოვებაშიო.

საპასუხო მატჩში, რომელიც ვენის „პრატერ-შტადიონზე" გაიმართება, მოსკოველებს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი არა, მაგრამ ერთობ ძნელი გადასაწყვეტი ამოცანა ელით.

**ი. ბერიაშვილი.**

• • •





სურათებზე: გოლები „აუსტრიის" კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## ფეხბურთი

### ფინალში

კიშინიოვი, 29 მარტი. აქ შედგა ჭაბუკ ფეხბურთელთა განმეორებითი მატჩი უეფა-ს თასზე სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 0:0, მაგრამ ვინაიდან პირველი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს ავსტრიაში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0, ისინი გავიდნენ გათამაშების ფინალურ ეტაპზე. ეს შეჯიბრება მაისში ჩატარდება პოლონეთში.

### მეტოქეა „ფახთაქორი"

ტაშკენტი, 30 მარტი. აქ შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის განმეორებითი მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „ფახთაქორსა" და კიევის არმიელთა გუნდს შორის.

პირველი შეხვედრა ტაშკენტელებს მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:0. მათ მეორე მატჩშიც მიაღწიეს წარმატებას და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. „ფახთაქორის" მხრივ ბურთები გაიტანეს ჩურკინმა, ბაკანოვმა და მაკაროვმა (პენალტი).

ამრიგად, სსრ კავშირის თასის მერვედფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იქნება ტაშკენტის „ფახთაქორი".

## შეტანილია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ახალგაზრდა მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდების პრეტენდენტი **მაია ჩიბურდანიძე** თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისთვის შეტანილია **საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.**

## გ. დვალიშვილის „ოქრო" და „ვერცხლი"

**ლენინაბადი, 31 მარტი (დეპეშით).** ადგილობრივ ტრეკზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის იუნიორთა და ჭაბუკების პირველობა ველოსპორტში.

ასპარეზობაში კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. გ. დვალიშვილმა ომნიუმში (სპრინტერთა მრავალჭიდი) ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ხოლო სპრინტში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

გუნდურ რბოლაში ჩვენმა სპორტსმენებმა: კ. იოვიძემ, ა. სივოკელეზოვმა, ე. გელაშვილმა და გ. დვალიშვილმა მეორე შედეგი აჩვენეს, საერთო ჩათვლაში კი საქართველოს ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა.

სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

# „მობურთალსა მოედანი"



რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდა თბილისში და მის შემოგარენში კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების მშენებლობაზე. ბევრი სპორტული ნაგებობა მოძველდა, ველარ პასუხობს საკავშირო სტანდარტებს, ამიტომ მიზანშეწონილია მათი სასწრაფო რეკონსტრუქცია.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ (მინისტრი ნ. ვაშაძე) უკვე შარშან გაზაფხულზე დაიწყო ოქროყანის სტადიონ „ჯანმრთელობის" სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ვისაც ეს პატარა ზომის მცირე სპორტული ნაგებობა ახსოვს, ალბათ დაგვეთანხმება, რომ იგი მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშისთვის (ისიც მარტო ფეხბურთელებისთვის) იყო გათვალისწინებული.

ოქროყანის სტადიონის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის პროექტი შეადგინა საქართველოს კომუნალური სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტმა (ავტორი ი. ტარასაშვილი).

მეგზურობას გვიწევს მომავალი სტადიონის დირექტორი, წარსულში თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი ვ. ლომაია. ტყავის ბურთის ვეტერანი სიამაყით გვათვალიერებინებს მომავალ სპორტულ ბაზას, სადაც ჩინებული წვრთნისა და დასვენების პირობები ექნებათ თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელებს.

— თუ ძველი სტადიონის მწვანე მინდორი მხოლოდ 90×60 მეტრი იყო, დღეს იგი თანამედროვე საკავშირო და საერთაშორისო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, — გვეუბნება მასპინძელი. — იმის გარდა, რომ სტადიონის მწვანე გაზონი მთლიანად შეიცვლება და მას სათანადო დრენაჟიც გაუკეთდება, მისი სიგრძე-სიგანე 105×69 მეტრი იქნება. მწვანე სამოსის გადიდება, მართალია, ტრიბუნის ხარჯზე გაკეთდა, მაგრამ დამპროექტებლებს არც ფეხბურთის გულშემატკივრები გამორჩათ მხედველობიდან. 1000-მდე სპორტის მოყვარულს საშუალება ექნება თვალი ადევნოს რესპუბლიკურ, თუ საკავშირო მასშტაბის ასპარეზობას.

როდესაც ჯანმრთელობის კომბინატის კეთილმოწყობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა ვახსენოთ ის დიდი საქვაბე, რომლის აგება ამ რამდენსამე დღეში დამთავრდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტადიონის ტერიტორიაზე უკვე აშენდა 5 სამოთახიანი ფინური ტიპის სახლი (ცენტრალური გათბობით). ძირფესვიანად შეიცვლის სახეს სტადიონის წინ მდებარე ორსართულიანი ადმინისტრაციული ნაგებობა. პირველ სართულზე მოეწყობა გასახდელები მოასპარეზე გუნდებისთვის. აქვეა საშხაპეები, ექიმის კაბინეტი, მსაჯთა ოთახი და სხვა სათავსო. მეორე სართულზე მოეწყობა სასადილო ფეხბურთელებისთვის, წითელი კუთხე და სხვა.

— სულ მალე დაიგება ასფალტიანი გზები, გამწვანდება ტერიტორია — გვეუბნება სამუშაოთა მწარმოებელი გ. ნოზაძე. ერთი სიტყვით, სპორტსმენებს ნორმალური წვრთნისა და დასვენების შესანიშნავი პირობები ექნებათ. მშენებლებს კარგად ესმით ის პასუხისმგებლობა, რაც ამ წალკოტში მოქცეული სპორტული კომპლექსის დროულად ჩაბარებას ეხება. თავდაუზოგავად შრომობენ ათისთავი ლ. დარციმელია, დურგლები — ა. ეილიშანოვი, დ. ეგიზაშვილი, დ. თეთრაძე, ელექტროგაყვანილობათა ოსტატი მ. ზადოიანი და სხვები.

მშენებლობაზე ძალიან ხშირად შეხვდებით რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნ. ვაშაძეს, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მომავალი სპორტული კომპლექსის მშენებლებს. ამ საქმეში გამოცდილ ხელმძღვანელ მუშაკს დიდი ცოდნა აქვს და „ჯანმრთელობის" სტადიონის მშენებლები გულისყურით უსმენენ მას.

— იმისათვის, რომ „სპარტაკის" ფეხბურთელთა ახალგაზრდულ გუნდს ზამთარშიაც შევუქმნათ სეზონისთვის მზადების ნორმალური პირობები, აქ პროექტით 38×18 სპორტული დარბაზი უნდა აშენდეს. მისი აგება წელსვე დაიწყება. მასში გათვალისწინებულია კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის და რაც მთავარია, ფეხბურთელთა წვრთნა, — გვეუბნება ვ. ლომაია.

ერთი სიტყვით, აღნიშნული სპორტული ნაგებობა პირველ სტუმრებს მაისის დასაწყისისთვის მიიღებს. დანარჩენი კი ფეხბურთელების უნარსა და ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

**შ. ქორიძე.**

• • •

**სურათებზე:** ასე გამოიყურება ოქროყანის ტერიტორიაზე მდებარე მომავალი საფეხბურთო სტადიონის სამშენებლო სამუშაოები.

გ. ვახტანგაძის ფოტო.



# „დიდი ბაკურიანის" პერსპექტივები

სპარტაკიადის ექო

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სამთო-მოთხილამურეთა ფინალური სტარტების დღეებში ბაკურიანში თავი მოიყარეს რჩეულმა სპორტსმენებმა, საუკეთესო სპეციალისტებმა, სამთო-სათხილამურო სპორტის ვეტერანებმა, მრავალრიცხოვანმა ჟურნალისტებმა. ყველა აღტაცებაში მოიყვანა სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის შესანიშნავმა ბუნებრივმა და კლიმატურმა პირობებმა, ტრამპლინთა კომპლექსმა, კოხტა-I-ისა და კოხტა-II-ის ბრწყინვალე სამთო ტრასებმა.

ბევრი დაინტერესდა — როგორი მომავალი აქვს სპორტის ზამთრის სახეობების ამ ცენტრს, განვითარდება თუ არა შემდგომში ზამთრის ეს კურორტი?

თბილისელი არქიტექტორები — „საქსახქალაქმშენპროექტის" ინსტიტუტის თანამშრომლები თამაზ ქავთარია, ვახტანგ მიქელაძე და ლევან ლორთქიფანიძე, რომლებიც თავად სამთო თხილამურების მოყვარულები არიან, დიდი ხანია ფიქრობენ ბაკურიანის მომავლის პრობლემებზე. 8 წელია, რაც სპეციალისტების ეს მცირე, მაგრამ ერთსულოვანი ჯგუფი ელოლიავება ბაკურიანში ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობების დიდი ცენტრის შექმნის იდეას. ენთუზიასტი არქიტექტორები წლების განმავლობაში მუშაობენ „დიდი ბაკურიანის" შექმნის ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებაზე. ეძებდნენ მომავალი სამთო-სათხილამურო ტრასების, საბაგირო გზების, სასტუმროებისა და სხვა ნაგებობათა განლაგების ოპტიმალურ ვარიანტებს. ეს უდიდესი სამუშაო შარშან დამთავრდა. მის მასშტაბზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ განმარტებითი ბარათის ტექსტი 700 გვერდს მოიცავს. არქიტექტორებმა თავიანთი ნამუშევარი განსახილველად გადასცეს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს. მისი დეტალური შესწავლის შემდეგ რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება „დიდი ბაკურიანის" მშენებლობის შესახებ.

აი, რა გვიამბო **თამაზ ქავთარიამ:** წარმოიდგინეთ ბაკურიანის შემოგარენი: მთებიდან ერთდროულად მოჰქრის 12 ათასი სამთო-მოთხილამურე. ფანტასტიკური სურათია! მაგრამ სწორედ 12 ათას კაცზეა გაანგარიშებული ტურიზმისა და სპორტის ზამთრის სახეობების მომავალი ცენტრის სიმძლავრე. საბაგირო გზები დასერავენ ყველა მთათა ფერდობებს. აქ მოეწყობა ფიზკულტურისა და სპორტის ყველაზე მკაცრი მოთხოვნილების შესაბამისი სწრაფდაშვების სამი ტრასა და ბევრი ტრასა სლალომისტებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე იქნება 147 კმ, ხოლო სიმაღლეთა სხვაობის ჯამი — 25 კმ. სამთო-სათხილამურო ტრასები საკავშირო სპორტპროექტთან (მთავარი სპეციალისტი ი. ანისიმოვი) ერთად შევიმუშავეთ.

მთების ძირში მოეწყობა სასტუმროს ტიპის 6 დიდი კომპლექსი: დიდველი-I (1000 კაცზე გათვალისწინებული), დიდველი-II (2000), ცხრაწყარო-I (1000), ცხრაწყარო-II (2000), კოდიანი (3000), გოგირდის აბანოები (1500).

ნავარაუდევია ამ კომპლექსში მოეწყოს აუზები, სპორტდარბაზები, სპორტმოედნები და ა. შ.

„დიდი ბაკურიანის" აშენების პროექტი ითვალისწინებს საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის ბაზის შექმნას, აიგება იპოდრომი და ყველა აუცილებელი ნაგებობა. დაპროექტებულია, აგრეთვე საციგურაო.

ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობა შეიქმნება სპორტის ზამთრის სახეობებში დიდი კომპლექსური შეჯიბრებების ჩასატარებლად. დაბოლოს მინდა დავუმატო, რომ „დიდი ბაკურიანის" შექმნის პროგრამის განხორციელება 2000 წლამდეა გაანგარიშებული. ასეთი დიდი მშენებლობისათვის აუცილებელია მძლავრი სამშენებლო ბაზის შექმნა. ამ მიმართებით უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ჩამოყალიბდა საკურორტო სამმართველო, რომელიც „დიდი ბაკურიანის" ყველა სამსახურისა და ობიექტის საქმიანობას უხელმძღვანელებს..

**ზ. ქვათაძე.**

# მოსწავლეთა სტარტები

## ეწერელებმა ყველას აჯობეს

**სამტრედიაში** ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტყვიის სროლაში, გამარჯვებისთვის იბრძოდა ქალაქის 6 და სოფლების 12 სკოლის გუნდები.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სოფლის სკოლების მოსწავლეთა შორის სპორტის ამ სახეობის დანერგვა-განვითარებას მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ქალაქის სკოლებში. ეს შედეგებმაც დაადასტურა: სოფლის სკოლებს შორის გამარჯვებულმა ეწერელმა მოსწავლეებმა 354 ქულა მოაგროვეს, მეორე ადგილზე გასულმა ილორელებმა — 334, მაშინ, როცა ქალაქის სკოლების ასპარეზობაში უძლიერესი, სამტრედიის მე-3 სკოლის ნაკრები 326 ქულას დასჯერდა, ხოლო მეორე პრიზიორებმა, რკინიგზის 24-ე სკოლის მსროლელებმა 259 ქულა მოაგროვეს.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

## ხალიჩაზე — ნორჩები

**გაგრის** რაიონის მოსწავლეთა პირველობაში, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა, 11 სკოლის 120-ზე მეტი ნორჩი თავისუფალი სტილის მოჭიდავე მონაწილეობდა.

ყველას აჯობეს განთიადის პირველი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც პირად ჩათვლაში ხუთი I ადგილი დაიკავეს. II ადგილზეა ხევნის საშუალო სკოლის სპორტსმენები.

ტურნირში მათ გარდა მონაწილეობდნენ, ბზიფის, ჩეხელრითის, ბიჭვინთის წარმომადგენლები.

**ზ. მაკარიძე.**

[illegible]

## ✦ ახალქალაქი

სპორტული სკოლის დარბაზში დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს პირველობა ფრენბურთში გაზეთ „შუქურას" პრიზზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 82-ე პროფტექნიკური სასწავლებლისა და კორხის კოლმეურნეობის გუნდები. პროფტექსასწავლებლის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — -3:1.

**ს. ხაჩატურიანი.**

[illegible]

## „ყურადღება, მოედანს იკავებენ ავტომანქანები!"

ამ სათაურით „ლელოს" 26 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო რუსთავში მეგობრობის გამზირის №№ 15, 19, 23 სახლების ეზოებში სპორტული მოედნების მოუწყობლობასა და მათი ავტომანქანებით დაკავების შესახებ.

როგორც სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. უბირია გვატყობინებს, **„წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.**

ალმასკომის გადაწყვეტილებით № 7 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსი **დ. წერეთელი**, რომლის უკონტროლობისა და სათანადო ზომების მიუღებლობის გამო აღნიშნულ მისამართზე ბავშვთა სპორტულ მოედანზე მცხოვრებლებმა თვითნებურად მოაწყვეს ავტოსადგომი, **განთავისუფლდა დაკავებულ თანამდებობიდან**, უბნის ინსპექტორის **რ. ბარბაქაძისა** და № 15 და 19 საუწყებო სახლების სახლმმართველის **თ. გამყრელიძის** პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა შინაგან საქმეთა განყოფილებასა და მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას. საბინაო სამმართველოს უფროსს **გ. ჟვანიას** დაევალა ა. წ. მეორე კვარტლის ბოლომდე მოაწესრიგოს ზემოხსენებული სახლების ეზოში ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები".

## ჩემპიონი მონდომებით ემზადება

# სეზონი სამხრეთში იწყება

კიევის „დინამომ“ მზადება იანვრის პირველ რიცხვებში დაიწყო საკუთარ სპორტულ ბაზაზე. იანვრის მეორე ნახევარში იგი მონაწილეობდა ლენინგრადის ტრადიციულ ტურნირში, შემდეგ კი წვრთნა შავი ზღვის სანაპიროზე გააგრძელა.

გუნდს კვლავინდებურად სათავეში უდგას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლობანოვსკი. მას ეხმარებიან სპორტის ოსტატები კომანი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითს დარგში), ონიშკო და პუზაჩი.

კოლექტივში საკმაოდ დიდი ცვლილებები მოხდა. 31 წლისამ თამაშს თავი დაანება სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მუნტიანმა. დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გადავიდა ერთბაშად 4 მოთამაშე: მეკარე მოსკალენკო, მცველი მატვიენკო და ნახევარმცველები ტროშკინი და კოვალიოვი. მცველი ს. კუზნეცოვი — ლენინგრადის „ზენიტში“, ნახევარმცველი კოჩუბინსკი — ალმა-ათის „ქაირათში“. გუნდმა მიიღო მცველი კაპლუნი ხარკოვის „მეტალისტიდან“, თავდამსხმელები მალკო — დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან“ და ციმბალიუკი — ლვოვის „კარპატიდან“.

თებერვლის შუა რიცხვებში კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი (ბერეჟნოი, ბესონოვი, ბურიაკი, ვერემეევი, კოლოტოვი, კონკოვი, ბლოხინი) მიიწვიეს სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც ტურნე ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მონაწილეობდა ირანის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. სულ ამ პერიოდში გუნდის დროებითი „დანაკარგი“ 15 კაცს შეადგენდა. გასაგებია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე გამართულ საკონტროლო მატჩებში კიეველები ფაქტიურად სათადარიგო ვარიანტით თამაშობდნენ.

კიევის „დინამოს“ სრული საბრძოლო შემადგენლობა ერთად მხოლოდ მარტის შუა რიცხვებში შეიკრიბა.

მეკარე იურკოვსკის ახლა დუბლიორი ჰყავს 20 წლის სივუხას სახით. მატვიენკოსა და ტროშკინს ასევე ახალგაზრდა შემცვლელები ეყოლებათ. გუნდის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ ამ ორ ვეტერანს აღარ შეეძლო ძველებურად თამაში, ამიტომაც გაათავისუფლა ისინი. შუა ხაზი, რომელიც გუნდში უძლიერესად ითვლება, წლეულს, ეტყობა, ისევ უცვლელი შემადგენლობით გამოვა. აქ კიეველებს ჰყავთ ბურიაკი, ბესონოვი, კოლოტოვი, ვერემეევი და კონკოვი.

წინა ხაზზე, როგორც ცნობილია, შარშან მატჩების დიდ ნაწილს მხოლოდ ბლოხინი თამაშობდა, ეპიზოდურად გამოდიოდნენ მინდორზე ონიშჩენკო და სლობოდიანი. წლეულს გარკვეული პრეტენზიები ექნება 4 თავდამსხმელს. მალკოსა და ციმბალიუკს გარდა ესენი არიან შარშანდელი დუბლიორები ტარანი და ხაპსალისი. ორივემ ბევრ საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ტარანი საერთაშორისო ტურნირშიც გამოდიოდა ირანში.

## არა მარტო „კერკეტი კაკალი“

ალმა-ათის „ქაირათის“ შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. გუნდიდან წავიდნენ მცველი ტალგაევი, ნახევარმცველი ბერდიევი და თავდამსხმელი შევჩუკი. მათ ნაცვლად ჩაირიცხა ორი ნახევარმცველი: 24 წლის კოჩუბინსკი კიევის „დინამოდან“ და ნიკიტენკო აშხაბადის „კოლხოზჩიდან“. გარდა ამისა, მოვიდა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი ყაზახეთის გუნდებიდან.

იანვარში „ქაირათი“ ჯერ მედეოს ეწვია, შემდეგ ლენინგრადის ტრადიციულ ტურნირში მონაწილეობდა „ნედელიას“ პრიზზე, ამას მოჰყვა ხანგრძლივი შეკრება შავი ზღვის სანაპიროზე.

„ქაირათს“ სათავეში კვლავინდებურად უდგას ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი კამინსკი. მასთან ერთად მუშაობენ სპორტის ოსტატი ოსტროუშკო (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითს დარგში), სპორტის ოსტატები სევიზბაევი და სკულკინი (მწვრთნელები), ეს კვარტეტი ნაყოფიერად მუშაობდა შარშანწინ პირველ ლიგაში და შარშანაც უმაღლეს ლიგაში.

„ქაირათს“ ორი ძლიერი მეკარე ჰყავს. ორდაბაევი, რომელიც მატჩების უმეტესობას ატარებს და უბიკინი, რომელიც ერთ დროს როსტოვის არმიელთა გუნდში გამოდიოდა, საერთოდ კი „ქაირათის“ აღზრდილია და აქ თამაშობდა ჭაბუკთა გუნდში.

ალმაათელებს, როგორც ცნობილია, მტკიცე დაცვა ჰყავთ. მისი სული და გულია 28 წლის ცენტრალური მცველი ბაიშაკოვი, რომელმაც რამდენიმე მატჩი ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მარჯვნივ სისტემატურად გამოდის კრუგლიხინი, [illegible] აკოვი. შარშან [illegible] გადაიყვანეს [illegible], [illegible] აქ დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

აი, შუა ხაზზე კი ალმაათელებს საქმე უარესად ჰქონდათ. შეიძლება, ეს პრობლემა ახლა გადაიჭრას კოჩუბინსკისა და ნიკიტენკოს მეშვეობით. ნახევარდაცვაში გამოცდილ ხისამუტდინოვთან ერთად გამოდიან ყოფილი თავდამსხმელი ევდოკიმოვი, ლიხოშერსტნიხი და ზოგჯერ პოდვესკოც. აქ შესაძლებელია რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის დაწინაურებაც.

ბევრი რამაა გადასაწყვეტი თავდასხმაშიც. ცენტრფორვარდმა გოროხოვოდაცკიმ თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გააცდინა ტრავმების გამო. ზამთარში იგი შეუპოვრად ვარჯიშობდა და თუ სათანადო ფორმაში შევიდა, შეუძლია საკმაოდ გამოაცოცხლოს თავდასხმის თამაში. საწვრთნელ მატჩებში სისტემატურად მონაწილეობდნენ გურმანი და მაზმანიანი, რომლებიც შარშან ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

„ქაირათი“ ყველასთვის ძნელი მეტოქეა, იგი შეუპოვარი თამაშით გამოირჩევა. წინამდებარე სეზონში ალმაათელები მიზნად ისახავენ არა მარტო უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას, არამედ შემტევი თამაშის ჩვენებასაც. ისინი შეეცდებიან დაამტკიცონ, რომ „ქაირათი“ მხოლოდ „კერკეტი“ კაკალი არ არის.

**ფეხბურთი**

# ევროპული ტურნირების დღე

გასულ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის პირველი ნახევარფინალური მატჩები. მათს დიდ დაძაბულობაზე ნათლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ 5 მატჩში 6-დან გამარჯვებულებმა მხოლოდ ერთი ბურთის უპირატესობით მიაღწიეს წარმატებას. ამას გარდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა ფიქსირებული სტუმრების წარმატება.

უკიდურესად მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა ჩემპიონთა თასის მატჩი მიონხენგლადბახის (გფრ) „ბორუსიასა“ და ინგლისის „ლივერპულს“ შორის. მთელი რიგი გამოუყენებელი მომენტების შემდეგ ანგარიში გახსნეს გერმანელებმა. ეს 28-ე წუთზე გააკეთა ჰაინესმა. თითქოს, მატჩი ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან მის დამთავრებას სულ 2 წუთი აკლდა, მაგრამ ჯონსონმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. დარჩენილი იყო კიდევ 40 წამი, როცა „ლივერპულის“ კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. იგი კარგად გამოიყენა ბონჰოფმა და გამარჯვება „ბორუსიას“ დარჩა — 2:1.

მეორე ნახევარფინალში თამაშობდნენ „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) და „ბრიუგე“ (ბელგია). აქაც მატჩის მიწურული იყო (86-ე წუთი), როცა იტალიელმა ბეტეგამ ზუსტად გამოიყენა ტარდელის პასი — 1:0

თასების მფლობელთა თასზე „ჰოლანდიის „ტვენტემ“ ენსხედეში მიიღო ბელგიის „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი). „ანდერლეხტმა“ 2 წლის წინ გამარჯვება მოიპოვა ამ ტურნირში, ხოლო შარშან ფინალში გავიდა და მისი წარმატება ამ გასვლითს მატჩში იმის საწინდრად უნდა მივიჩნიოთ, რომ კლუბს საფუძვლიანი გარანტიები აქვს ახლაც გავიდეს ფინალში. თუმცა მატჩი მიმდინარეობდა ჰოლანდიელთა საგრძნობი უპირატესობით. მიურენს, ბოსს, გრიტერს, არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ აეღოთ ბელგიელთა კარი, საუკეთესოდ ითამაშა „ანდერლეხტის“ მეკარე დე ბრიმ. „ტვენტეს“ პენალტის დარტყმის უფლებაც მიეცა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. 52-ე წუთზე ბელგიელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და ნილსენმა გაიტანა გოლი, რომელმაც „ანდერლეხტს“ წარმატება მოუტანა.

ერთადერთი გამარჯვება დიდი ანგარიშით ფიქსირებული იქნა უეფა-ს თასზე ჰოლანდიის „ეინდჰოვენისა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შეხვედრაში, სადაც წარმატება წილად ხვდათ მასპინძლებს. ამ მატჩში ანგარიში გაიხსნა უკვე მე-9 წუთზე: ესპანელთა მცველმა ოლმომ საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. მასპინძლებმა კარგად ისარგებლეს ესპანელთა დაბნეულობით და კიდევ 2 გოლი გაიტანეს (ლუბსე, პოსტუმა).

ციურიხში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიის „გრასჰოპერსი“ და საფრანგეთის „ბასტია“. ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (გრიმაუ), 21-ე წუთზე კი ჰერმანმა გაქვითა გოლი — 1:1. შემდეგ მეტოქეებმა გაიტანეს თითო პენალტი, წარმატებას კი „გრასჰოპერსმა“ მიაღწია შესვენების შემდეგ. მონტანდონის მიერ გატანილი გოლის მეოხებით. ამ მატჩში გაფრთხილებები მიიღეს გედონმა („ბასტია“) და ბეკერმა („გრასჰოპერსი“) და ვინაიდან ეს მეორე შემთხვევაა, ორივე ფეხბურთელი გააცდენს განმეორებითს შეხვედრებს.

სამივე ტურნირის საპასუხო ნახევარფინალური მატჩები შედგება 12 აპრილს.

### ნახევარფინალები, I ტური

**ჩემპიონთა თასი**

„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) — „ლივერპული“ (ინგლისი) 2:1.

„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — „ბრიუგე“ (ბელგია) 1:0.

**თასების თასი**

„დინამო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 2:1.

„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 0:1.

**უეფა-ს თასი**

„გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) — „ბასტია“ (საფრანგეთი) 3:2.

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 3:0.

●





სურათებზე: ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული მოსკოვის „დინამოსა“ და ვენის „აუსტრიას“ გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩის ფრაგმენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**რესპუბლიკის ჩემპიონატი**

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

„მეშახტე“ (ტყიბული) — „მზიური“ (გალი) 2:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (თბილისი) 0:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

„ნადიკვარი“ (თელავი) — „იბერია“ (ქარელი) 2:2 მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„კოლხეთი“ (ფოთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

„სქური“ (წალენჯიხა) — „ივერია“ (ხაშური) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 0:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (თბილისი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 3:0. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

### სპორტულ გაზეთზე

საქართველოს ჩემპიონატი. ასკ-ს სტადიონი. 1 აპრილი. ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) დასაწყისი 12 ს.

### ქუთაისელთა გამარჯვება

ოსტა, 29 მარტი. საინტერესოდ ჩატარდა საკონტროლო მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა შორის. ქუთაისელებმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 1:0. ეს გოლი 50-ე წუთზე გაიტანა ფესტვენიძემ.

„ტორპედომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კვერნაძე, სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ბურკაძე, ოქროპირაშვილი, ქვირია, კვაჭანტირაძე, ფესტვენიძე, ხუცურაული.

### შეხვედრა ბუენოს-აირესში

**მომავალი** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები განაგრძობენ ინტენსიურ მზადებას. არგენტინის ფეხბურთელებმა ბუენოს-აირესში მიიღეს ბულგარეთის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს გალიეგომ, ორტისმა და არდილესმა, ხოლო სტუმართაგან — გრუნჩაროვმა.

# ქართველ დინამოელთა წარმატება

**10 უძლიერესმა** გუნდმა მოიყარა თავი მოგილიოვში „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე ჭადრაკში. ბრძოლაში ჩაება საქართველოს გუნდიც — ოსტატები ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, ოსტატობის კანდიდატები დ. გედევანიშვილი და გ. ხაილენკო (ჭაბუკთა დაფაზე).

თბილისელმა მოჭადრაკეებმა შეჯიბრება შესანიშნავად ჩაატარეს, ზედიზედ მოიგეს 7 მატჩი და ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ჩემპიონობა გაინაღდეს. ბოლო ორ შეხვედრას (აზერბაიჯანთან 2:2, მოსკოვთან 1:3) მათთვის აღარ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა.

საქართველოს დინამოელებმა 26 ქულით I ადგილი დაიკავეს. მათ 3,5 ქულით ჩამორჩნენ უკრაინისა და მოსკოვის გუნდები.

საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები დაფების მიხედვით ასეთია: ე. უბილავა — 7,5 ქულა 9-დან. მას „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მიეკუთვნა. გ. ზაიჩიკი — 4, დ. გედევანიშვილი — 8 (აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ამ შეჯიბრებაში), გ. ხაილენკო — 6,5.

ჭაბუკთა შორის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა ბ. ლვოვსკიმ (უკრაინა).

**ვ. სავინი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**





# ბოლო აკორდი

**წყალტუბოში** საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა პირველობის ბოლო შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, თბილისელებმა ბაქოს კწფსთან გამართეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს 7:3.

თამაშის დამთავრების შემდეგ თბილისის განათლების განყოფილების წყალთა სახეობების ბავშვთა სპორტსკოლის მიერ დაწესებული პრიზი, რომელიც I ტურის საუკეთესო მეკარისთვის იყო განკუთვნილი, ჩვენმა დინამოელმა გ. ტუკვაძემ მიიღო.

საუკეთესო „მინდვრის“ მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი, რომელიც უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლამ დააწესა, კიეველთა მცველს ი. შლიაკოტინს (№ 2) ერგო.

საინტერესოა მასპინძელთა გამოსვლების სტატისტიკა: თბილისელთაგან ერთ მატჩში — ერევნელებთან ექვსმა მოთამაშემ გაიტანა ბურთი. სპარტაკელთა კარში გატანილი ბურთების ავტორი სამი დინამოელი გახდა, ამავე დროს ერთმა მათგანმა — კუტივაძემ სწორედ სპარტაკელთა კარში მოათავსა ყველაზე მეტი (5) ბურთი. სხვათა შორის, კუტივაძე საუკეთესო ბომბარდირი იყო თბილისელთა შორის. მის ანგარიშზეა 14 ბურთი.

გოლების მხრივ თბილისელთა გუნდში მეორეა გიორგაძე (7 ბურთი). შემდეგ მოდიან გვახარია და ზ. ივანიშვილი (4-4), დ. ივანიშვილი, კენჭაძე (3-3), ქათამაშვილი (2) და კირკიტაძე (1). მათ გარდა თბილისელთა გუნდში გამოდიოდნენ: ოთარაშვილი, შავგულიძე და ტუკვაძე.

თბილისელებმა ყველაზე მეტი ბურთი — 38 გაიტანეს მეტოქეთა კარში.

* * *

**სურათებზე:** თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს კწფ-ს შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. შეტევაზე არიან თბილისელები; ფხიზლადაა თბილისელთა კარის დარაჯი გ. ტუკვაძე, რომელიც საუკეთესო მეკარედ იქნა აღიარებული.

**ე. ხუცურაულის ფოტოები.**

## ცურვა

**ხარკოვის** „სპარტაკის“ საწყლოსნო სპორტის სასახლეში ნორჩ მოცურავეთა საკავშირო შეჯიბრებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე კვლავ წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს მოცურავეები. 1964 წელს დაბადებულ ბიჭებს შორის 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საუკეთესო იყო თბილისელი ა. გორბუნოვი — 2.03,24.

ამავე ასაკის ბიჭებში 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მესამე იყო თბილისელი ა. ჩაჩიბაია — 2.19,53.

**გომელში** გრძელდება ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრება გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ პრიზზე. 1966 წელს დაბადებულ ბიჭებს შორის 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში საუკეთესო იყო თბილისის დინამოელი ზ. გაზაკაშვილი. მანვე გაიმარჯვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.27,8.

## ტანვარჯიში

**ივანოვოში** დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები.

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებით იყო დაკომპლექტებული, რსფსრ-ის I და II, მოსკოვისა და უკრაინის გუნდების შემდეგ V ადგილი დაიკავა.

### გ. რაჭველიშვილი მეორე ადგილზე

პირად შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტმა გ. რაჭველიშვილმა. მან მრავალჭიდში 107,85 ქულა მოაგროვა და II საპრიზო ადგილი მოიპოვა. ჩემპიონი გახდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი ი. ბარანოვი (108,2 ქ.).

გ. რაჭველიშვილი (მწვრთნელები: ო. მიქელაძე და ა. კვეტენაძე) შეყვანილია „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში.

**მ. ცხვედაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

**დიდ** ბრიტანეთში ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო ტრადიციული „ერების კროსი“. წლევანდელ ასპარეზობას გლაზგო მასპინძლობდა. ქალები 4728 მეტრზე დარბოდნენ. ყველას აჯობა ნორვეგიელმა გ. ვაიტცმა — 16.19,0. გუნდური პირველობა კი რუმინელებმა მოიგეს, რომლებმაც 7 ქულით ჩამოიტოვეს ამერიკელები. საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც წინა ორი ტურნირის ჩემპიონები იყვნენ, XI ადგილს დასჯერდნენ.

სამაგიეროდ, ვაჟთა შორის 12300 მეტრზე რბენაში დიდხანს ლიდერობდა ა. ანტიპოვი. უკანასკნელ მონაკვეთზე მას წამოეწივნენ ირლანდიელი ჯ. ტრისი და ბელგიელი კ. ლისმონტი. ფინიშთან ირლანდიელმა იმარჯვა — 39.25,0. ანტიპოვი მას 3 წამით ჩამორჩა. ჩვენმა გუნდმა IV ადგილი დაიკავა. მას საფრანგეთის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის კროსმენებმა აჯობეს.

## მძლეოსნობა

**ტირასპოლის** მიდამოებში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნურ კროსში. გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს სპორტსმენებმა იმარჯვეს. პირად ტურნირში ოქროს მედლები მოიპოვეს: გოგონათა შორის 2000 მეტრზე რბენაში — მასპინძელთა გუნდის წევრმა ს. გუსკოვამ — 6.47,9, ქალთა შორის 3000 მეტრზე რბენაში იმარჯვა ვ. ილინიხმა (რსფსრ) — 11.17,9. იუნიორები 6000 მეტრზე დარბოდნენ. აქ პირველი იყო ვ. ბოიჩენკო (უკრაინა) — 19.55,5. 5000 მეტრზე მორბენალ ქალთა შორის ფინიშთან პირველი მივიდა ნ. შნირიკოვა (რსფსრ) — 18.11,0. ვაჟთა შორის 8000 მეტრზე კროსი ლიტველი ა. ანტიპოვის გამარჯვებით დასრულდა — 24.27,0. 14000 მეტრზე შეჯიბრებაში ოქროს მედალი მიიღო ი. მიხაილოვმა (მოსკოვის ოლქი) — 44.29,7.

## ჭიდაობა

### ჩემპიონის ხსოვნას მიეძღვნა

**ლანჩხუთის** ბავშვთა სპორტულ სკოლაში ჩატარდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, დიდ სამამულო ომში დაღუპული ვალერიან ცინცაბაძის სახელობის თასზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის, 83-ე პროფტექნიკური სასწავლებლის, ბავშვთა სპორტული სკოლის, ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის და ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ნაკრები გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ვ. ქანთარია, თ. ფირცხალაიშვილი, მ. ბურჭულაძე, თ. ჯიბლაძე, ზ. ჩავანავა, გ. ჩხარტიშვილი, შ. ზოიძე და ი. ხაბულიანი. გუნდური I ადგილი ბავშვთა სპორტული სკოლის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოჭიდავეები, III და IV ადგილები კი ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და 83-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ნაკრებ გუნდებს ერგოთ.

ვალერიან ცინცაბაძის პრიზის მფლობელი გახდა ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მე-4 ბრიგადის ბრიგადირი თემურ ჯიბლაძე.

**თ. ქერქაძე,**
**ლანჩხუთის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.**

# სპორტული აპრილი

გაზაფხულის მეორე თვე მდიდარია საინტერესო შეჯიბრებებით. გაგაცნობთ კალენდარს:

1-3. აკადემიური ნიჩბოსნობა. საკავშირო შეჯიბრება მცირე ნავებით. ფოთი.

1-16. შაში. სოფლის სპორტსმენთა მესამე რესპუბლიკური თამაშები. სამტრედია.

4-26. შაში. ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა ასუჯრიან შაშში. ფოთი.

5-9. ბალახის ჰოკეი. რესპუბლიკური პირველობა 1960-61 და 62-63 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ქუთაისი.

6-9. ბადმინტონი. საქართველოს თასი. ცხინვალი.

7-9. ველოსპორტი (გზატკეცილი). რესპუბლიკური პირველობა 1960-63 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. გორი.

7-9. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. საქართველოს საგაზაფხულო პირველობა. ფოთი.

9-17. ფრენბურთი. ქალთა გუნდების რესპუბლიკური ჩემპიონატი. პირველი წრე. სოხუმი.

13-16. სამბო. სოფლის სპორტსმენთა მესამე რესპუბლიკური თამაშები. კასპი.

13-16. ქართული ჭიდაობა. რესპუბლიკური პირველობა 1959-60 წლებში დაბადებულ იუნიორებს შორის. თიანეთი.

13-17. რაგბი. საქართველოს თასი. ამბროლაური.

13-17. საცხენოსნო სპორტი. საქართველოს აბსოლუტური პირველობა დაბრკოლებათა გადალახვაში. ფოთი.

17-22. ტყვიის სროლა. სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება. სოხუმი.

17-24. ფრენბურთი. ვაჟთა გუნდების რესპუბლიკური ჩემპიონატი. პირველი წრე. ბათუმი.

20-22. აკადემიური ნიჩბოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება 1958-62 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის. ფოთი.

20-23. ქართული ჭიდაობა. კ. მაისურაძის პრიზის გათამაშება. ონი.

23-25. ტყვიის სროლა. ქალთა საკავშირო შეჯიბრება. სოხუმი.

24-27. მხატვრული ტანვარჯიში. საქართველოს ჩემპიონატი. გორი.

24-30. ხელბურთი. სოფლის სპორტსმენთა მესამე რესპუბლიკური თამაშები (ზონალური შეჯიბრება). ყვარელი.

25-30. ფარიკაობა. საქართველოს ჩემპიონატი. ქუთაისი.

26-30. სამბო. საქართველოს ჩემპიონატი. დუშეთი.

26-30. ველოტრეკი. საქართველოს პირველობა 1958-59 და 1960-63 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. თბილისი.

27. შაში. ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ასუჯრიანი შაშის ელვისებურ თამაშში. ფოთი.

27-29. მძლეოსნობა. საქართველოს საგაზაფხულო პირველობა. სოხუმი.

29. IV-3. V. ხელბურთი. საქართველოს თასი. ყვარელი.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

## ჰოკეი

**არგენტინის** დედაქალაქ ბუენოს-აირესში ბალახის ჰოკეის მეოთხე მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ პაკისტანის, ავსტრალიის, გფრ-ის და ჰოლანდიის გუნდები. სპეციალისტებმა სენსაციად ჩათვალეს, რომ უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული ინდოეთის გუნდი უძლიერესთა ოთხეულში ვერ მოხვდა. აქ გამართული ექვსი შესარჩევი შეხვედრიდან ინდოელებმა ორი წააგეს, ამასთან, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონებთან გფრ-ის ჰოკეისტებთან — 0:7. ჩემპიონატი დამთავრდება 2 აპრილს, როცა ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ავსტრალია — ჰოლანდიის და პაკისტან — გფრ-ის წყვილებში გამარჯვებული გუნდები.

**დამთავრდა** სსრ კავშირის 30-ე ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში. ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა მოსკოვის „დინამომ“, რომელმაც 26 შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ წააგო. დინამოელებმა 42 ქულა დააგროვეს და მეორე ადგილზე გასულ ალმაათელ თანაკლუბელებს სამი ქულით გაუსწრეს. ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს კრასნოიარსკის „ენისეის“ ჰოკეისტებმა.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი, სახანძრო გამოყენებითი სპორტის საქართველოს სსრ ფედერაცია 1, 2 აპრილს თბილისში ატარებენ**

**საქართველოს IV ღია ჩემპიონატს სახანძრო-გამოყენებით სპორტში,** საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატ ბონდო შანიძის პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: **ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.**

**შეჯიბრების პროგრამაში:**

**1 აპრილი** — „ლოკომოტივის სტადიონი“. 100-მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვა და სახანძრო ესტაფეტა 4×100 მ. **დასაწყისი 10 საათზე.**

**2 აპრილი** — ორჯონიკიძის რაიონის სახანძრო ნაწილი (საბურთალოს ქ. № 28). საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მე-4 სართულზე ასვლა. **დასაწყისი 11 საათზე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.